



**შპს „სითიქომის“ (ს/ნ: 405197111) 2026 წლის 26 ივნისის N01/5849
საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ**

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. საჩივრის შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2026 წლის 26 ივნისს წარმოდგენილ იქნა შპს „სითიქომის“ (ს/ნ: 405197111) (შემდგომში, ასევე, - „მომჩივანი“) საჩივარი (რეგ. N01/5849), რომელიც შეეხებოდა შპს „ოლსერვისგრუპის“ მიერ (ს/ნ: 406233552) (შემდგომში, ასევე, - „მოპასუხე“) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) 11³ მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

საჩივრის მიხედვით, შპს „სითიქომი“ საქმიანობს მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების საერთო ქონების ციფრული მართვის, საექსპლუატაციო თანხების აკუმულირებისა და ლიფტებში წვდომის კონტროლის (ბარათის წამკითხველი აპარატების) მომსახურების სფეროში. მომჩივნის მსგავსად, შპს „ოლსერვისგრუპი“, სხვა საქმიანობებთან ერთად, ეწევა მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების საერთო ქონების ციფრული მართვის, საექსპლუატაციო თანხების აკუმულირებისა და ლიფტებში წვდომის კონტროლის (ბარათის წამკითხველი აპარატების) მომსახურებას.

მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, რაც გამოიხატება კონკრეტულ მისამართებზე მდებარე კორპუსებში, სადაც მომჩივანი მომსახურებას უწევს, მომჩივნის კუთვნილი ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ბარათის წამკითხველი აპარატის, დაზიანებასა და მოქმედ ტექნიკურ სისტემებში ჩარევით საკუთარი



სისტემის დამონტაჟებას. ობიექტები, სადაც განხორციელდა აღნიშნული ქმედებები, მდებარეობს შემდეგ მისამართებზე: ვიქტორ კუპრაძის N72 და N74 (N3, N5, N6, N9, N10, N11, N12, N23, N 25 და N26 კორპუსები).

საჩივრის მიხედვით, ზემოთ მითითებულ მისამართზე მდებარე კორპუსებს მომჩივანი მომსახურებას უწევდა სს „Hualing international special economic zone“-სთან (ს/ნ: 404934381) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მომჩივნის განცხადებით, სს „Hualing international special economic zone“ არის ობიექტის (კორპუსის) მართვაზე პასუხისმგებელი პირი და შპს „სითიქომი“ აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში უწევს მომსახურებას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2026 წლის ივნისში დაფიქსირდა მომჩივნის ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და მოქმედ ტექნიკურ სისტემებში ჩარევა. შპს „სითიქომის“ მიერ შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ გათიშული იყო მომჩივნის მოწყობილობები, გაწყვეტილი/გადაჭრილი იყო მათი საკომუნიკაციო კაბელები და მოწყობილობების გვერდით დამონტაჟებული იყო შპს „ოლსერვისგრუპის“ საიდენტიფიკაციო ნიშნებისა და ბრენდირების მქონე მოწყობილობები. აღნიშნული მოწყობილობები ფუნქციურად იმავე მომსახურების გასაწევად გამოიყენება, რომელსაც მომჩივანი უწევდა კორპუსის მაცხოვრებლებს. მომჩივანი მიუთითებს იმასაც, რომ მოპასუხის მოწყობილობების დაერთება მოხდა მის კუთვნილ აპარატურაზე, რის შედეგადაც ტექნიკა გამოვიდა მწყობრიდან და დაზიანდა ფიზიკურად.

შპს „სითიქომის“ სისტემის დაზიანების დასადასტურებლად მომჩივანმა საჩივართან ერთად წარმოადგინა შესაბამისი ჩანაწერები/ლოგები, რომლებიც მისი განცხადებით, კონკრეტულ მისამართებზე დაფიქსირებულ ხარვეზებს უკავშირდებოდა. აღნიშნული ხარვეზების გამო ფინანსური ზიანიც მიადგა მომჩივანს, რადგან მომხმარებლების საერთო ბალანსზე ფიქსირდება დანაკლისი და ვერ ხდება თანხების აკუმულირება.

მომჩივანი მიუთითებს, რომ პრობლემა არის არა ის, რომ კორპუსში შესაძლებელია სხვა კომპანიის მიერ მოხდეს მომსახურების მიწოდება, არამედ ის, რომ ამ ალტერნატიული მომსახურების მიწოდება ხდება კონკურენტის (მომჩივნის) ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და მისი კომერციული საქმიანობის ხელშეშლის ხარჯზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული (კონკურენტის ინფრასტრუქტურის ხარჯზე საკუთარი სისტემის დამონტაჟება), მომჩივნის განცხადებით, წარმოადგენს

არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და მოპასუხე ჯანსაღი კონკურენციის პრინციპების გვერდით ავლით ცდილობს კონკურენციის გაწევას. შესაბამისად, იგი აყენებს მოთხოვნას, სააგენტომ დაიწყოს საქმის მოკვლევა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტზე.

1.2. მოპასუხის პოზიცია

გამომდინარე იქიდან, რომ საჩივარი აკმაყოფილებდა ფორმალური დასაშვებობის კრიტერიუმებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით იგი გადაეგზავნა მოპასუხე მხარეს გასაცნობად და საკუთარი პოზიციის წარმოსადგენად¹. მოპასუხემ საკუთარი პოზიცია სააგენტოს წარმოუდგინა² და არ დაეთანხმა მომჩივნის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

კერძოდ, შპს „ოლსერვისის“ განცხადებით, მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია არაკეთილსინდისიერ პრაქტიკას.

შპს „ოლსერვისგრუპი“ მომხმარებლებს (ბინათმესაკუთრებს) მომსახურებას აწვდის მათთან დადებული შეთანხმების საფუძველზე. ამგვარი შეთანხმების მხარე შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, ასევე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საინიციატივო ჯგუფი. მოპასუხემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა კიდეც მასსა და ვიქტორ კუპრადის N72-ში მდებარე კორპუსის მცხოვრებლების საინიციატივო ჯგუფებს შორის დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც თარიღდება 2026 წლის 5 და 10 ივნისით. ხოლო ვიქტორ კუპრადის N74-ში მდებარე შენობასთან დაკავშირებით, მოპასუხე უარყოფს აღნიშნულ შენობაში აპარატურის განთავსებას და აცხადებს, რომ ამ კორპუსთან იგი არ იმყოფება არანაირ სახელშეკრულებო ურთიერთობაში და არც რაიმე სისტემა დაუმონტაჟებია ხსენებულ შენობაში.

მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ ზემოთ მითითებული ხელშეკრულებების დადების შემდგომ მისმა ტექნიკურმა ჯგუფმა კორპუსის ლიფტებში განათავსა აპარატურა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს მომჩივნის აპარატურასთან და იგი მუშაობს სრულიად დამოუკიდებლად. მოპასუხე განმარტავს, რომ ლიფტის ღილაკების მართვის მექანიზმიდან გამოყვანილია დამატებითი (მეორადი) წრედი,

¹ სააგენტოს 2026 წლის 26 ივნისის N02/4274 წერილი

² სააგენტოში შემოსული N01/5976 წერილი (01.07.2026)

რომლის დახურვაც ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წამკითხველზე წარმოდგენილი ბარათი ან ჩიპი წარმატებით გაივლის ავტორიზაციას, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება შესაბამისი სართულის ღილაკის გააქტიურება და ლიფტით სარგებლობა. სისტემები, რომლებიც ლიფტებში იყო დამონტაჟებული, დაკავშირებულია წრედთან მხოლოდ ე.წ. „მშრალი კონტაქტის“ საშუალებით და კონტაქტის დახურვისას არ ხდება ძაბვის მიწოდება. შესაბამისად, მომჩივნის მითითება მასზედ, რომ თითქოს მოპასუხის სისტემამ ძაბვის გადაცემით დააზიანა შპს „სითიქომის“ კუთვნილი ინფრასტრუქტურა, არ შეესაბამება სინამდვილეს. მაშინაც კი, როცა ერთ ლიფტში ორი სისტემაა დამონტაჟებული, ერთი სისტემის მუშაობა ვერ გამოიწვევს მეორე სისტემის დაზიანებას ან გაუმართაობას. ამასთან, მოპასუხის სისტემა, ტექნიკური თვალსაზრისით, დამოუკიდებლად არის მიერთებული ლიფტის კაბინაში არსებულ კვების წერტილზე და არაა შესაძლებელი ამ სისტემამ გავლენა მოახდინოს იმავე კვების ხაზზე მიერთებული სხვა მოწყობილობის მუშაობაზე.

მოპასუხე, ასევე, აღნიშნავს, რომ აპარატურასთან დაკავშირებით მომჩივანმა პოლიციის შესაბამის სამმართველოსაც მიმართა ქონების განზრახ დაზიანების ფაქტზე, თუმცა საქმის წარმოება შეწყდა იმ საფუძველით, რომ ვერ დადგინდა მოპასუხის მიერ ქონების დაზიანების ფაქტი.

გარდა ამისა, შპს „ოლსერვისგრუპი“ აცხადებს, რომ მათ მიერ მომსახურების გაწევის დაწყებას წინ უძღოდა ბინათმესაკუთრეთა საერთო კრება (რომელსაც, მათი ინფორმაციით ესწრებოდა მომჩივნის წარმომადგენელიც), რომლის შემდგომაც მომჩივანს გაეგზავნა შეტყობინება, რომ მოსახლეობას აღარ სურდა მათთან მომსახურების ხელშეკრულების გაგრძელება და ეთხოვა, 2026 წლის 4 ივნისამდე (და ასევე, შემდგომი შეტყობინებით, 5 ივნისის ჩათვლით) მოეხსნათ საკუთარი აპარატურა კორპუსიდან. შესაბამისი მტკიცებულება მოპასუხემ წარმოადგინა საკუთარ პოზიციასთან ერთად. აღნიშნულ შეტყობინებაზე, რომელიც საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა გაუგზავნა მომჩივანს, პასუხი დაბრუნებულია შპს „სითიქომის“ წარმომადგენლის/თანამშრომლის მიერ და საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს ეცნობა, რომ ინფორმაცია გადაეცა შესაბამის დეპარტამენტს. თუმცა აპარატურის დემონტაჟი არ განხორციელებულა. ამის შემდგომ კი ვიქტორ კუპრადის N72-ში მდებარე ბინათმესაკუთრეთა საინიციატივო ჯგუფმა ხელშეკრულებები გააფორმა შპს „ოლსერვისთან“ და მოპასუხე სწორედ ამ ხელშეკრულებებზე მიუთითებს, როგორც მომსახურების

გაწევის და შესაბამისად, კორპუსში საკუთარი აპარატურის დამონტაჟების საფუძველად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევს, რომ შპს „სითიქომის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი საჩივარი არ არის დასაბუთებული როგორც ფაქტობრივი, ასევე, სამართლებრივი თვალსაზრისით და მათ მიერ არ დარღვეულა კონკურენციის კანონმდებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით კი სააგენტომ არ უნდა დაიწყოს საქმის მოკვლევა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტზე.

1.3. მომჩივნის დამატებითი პოზიცია

სააგენტომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიცია გასაცნობად გადაუგზავნა მომჩივანს³, რასთან დაკავშირებითაც მომჩივანმა დამატებით წარმოადგინა საკუთარი მოსაზრებები⁴.

მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხის მიერ ვიქტორ კუპრადის N72-ში არსებული კორპუსის საინიციატივო ჯგუფთან დადებული ხელშეკრულებები არ გამორიცხავს მოპასუხის მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას. იგი აცხადებს, რომ დამკვეთს (ხელშეკრულების მხარეს) უნდა გააჩნდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის საერთო სივრცეების მოსავლელად მომსახურების ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება. კერძოდ, იგი უნდა ფლობდეს საერთო ქონების, ფინანსების განკარგვისა და სხვა მობინადრისთვის/მესაკუთრისთვის თანხის გადახდის დავალდებულების უფლებამოსილებას. კანონმდებლობით დადგენილია, რომ საერთო ქონების განკარგვისა და მართვის თაობაზე ხელშეკრულების დადებას ესაჭიროება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრების ან შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტის ლეგიტიმური გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი კვორუმით და გაფორმდეს შესაბამისი ოქმით, რათა დაცული იყოს ყველა მესაკუთრის უფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანი მიიჩნევს, რომ ვერ დგინდება დამკვეთის (საინიციატივო ჯგუფის) უფლებამოსილება, მართოს და განკარგოს საერთო

³ სააგენტოს 2026 წლის 1 ივლისის N02/4348 წერილი

⁴ სააგენტოში შემოსული N01/6484 წერილი (20.07.2026)

სივრცეები. შესაბამისად, მოპასუხის მიერ ამ ჯგუფებთან დადებული ხელშეკრულებები თავისთავად არ წარმოშობს მოპასუხის მიერ მომსახურების გაწევის სამართლებრივ უფლებამოსილებას.

მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხეს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება/დოკუმენტაცია (საერთო კრების ოქმი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის გადაწყვეტილება), რომელიც საჭიროა კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი მომსახურების თაობაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად. შესაბამისად, მოპასუხემ აპარატურის მონტაჟი განახორციელა მხოლოდ ცალკეული პირების ხელმოწერების საფუძველზე. თუმცა ეს პირები წარმოადგენენ შენობაში მაცხოვრებლების მხოლოდ მცირე ნაწილს და არ დგინდება ბინათმესაკუთრეთა რეალური ნება, მოპასუხისგან მიიღონ მომსახურება.

ასევე, მომჩივნის განცხადებით, მოპასუხეს, როგორც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კომპანიას, უნდა სცოდნოდა, რომ საინიციატივო ჯგუფს არ ჰქონდა ხელშეკრულების დადების უფლებამოსილება. ის ფაქტი, რომ მიუხედავად ამისა, მან მაინც გააფორმა ხელშეკრულება, მიანიშნებს შპს „ოლსერვისგრუპის“ განზრახვაზე, არაკეთილსინდისიერი მოქმედებით დაეზიანებინა კონკურენტი და ჩაენაცვლებინა იგი კონკრეტულ მისამართებზე.

რაც შეეხება მოპასუხის სისტემის დამოუკიდებლად მუშაობას, მომჩივანი განმარტავს, რომ საჩივარში მითითებულ მისამართზე არსებულ ლიფტებში პირველადი სამონტაჟო სამუშაოები განხორციელებულია უშუალოდ შპს „სითიქომის“ მიერ. მან გაიყვანა და დაამონტაჟა ის საკომუნიკაციო კაბელები, რომლებიც ლიფტის სართულის ღილაკებს აკავშირებს მართვის რელესთან. მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხის აპარატურა დაერთებულია შპს „სითიქომის“ მიერ მოწყობილ ინფრასტრუქტურასა და კაბელებზე. ამასთან, სიმართლეს არ შეესაბამება მოპასუხის განცხადება, რომ მათ აპარატურას გავლენა არ მოუხდენია მომჩივნის აპარატურაზე - ერთსა და იმავე საკონტაქტო წერტილებსა თუ გამოყვანილ კაბელზე ორი სხვადასხვა დაშვების სისტემის არაკოორდინირებული, პარალელური დაერთება იწვევს წინააღმდეგობის შეცვლას და ძაბვის ვარდნას, რამაც გამოიწვია მომჩივნის აპარატურის გაუმართაობა.

გარდა ამისა, მომჩივანი უარყოფს იმ ფაქტს, რომ პოლიციის მიერ საქმის წარმოება შეწყდა. მისი თქმით, გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და სწორედ ამიტომ არ მოხდა მისი აღნიშვნა საჩივარში. ამასთან, სავარაუდო დანაშაულის გამოძიებას

კავშირი არ აქვს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის განხილვის პროცესთან.

შპს „სითიქომი“ იმასაც აღნიშნავს, რომ თუნდაც მოპასუხის აპარატი არ აზიანებდეს მომჩივნის აპარატურას, გვერდიგვერდ ორი სხვადასხვა კომპანიის აპარატის მონტაჟი ყველა შემთხვევაში ლახავს კონკურენციის ინტერესს, მათ შორის, მის ბალანსზე თანხების აკუმულირების შესაძლებლობის დაკარგვის გამო.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვასა და შესრულებაზე უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა.

კანონის 11³ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენცია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი,

არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო საჩივრის მიღების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის

დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - „პროცედურა“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნული მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო, ასევე, აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში. ასევე, პროცედურის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ზემოთ აღნიშნულ 30-დღიან ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1) საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან 2) საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.3. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია პარიზის კონვენციის მიხედვით

„სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის “ (1967) (შემდგომში - „კონვენცია“) პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ქმნიან სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია:

პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო დიზაინები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები, აგრეთვე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა.

კონვენციის 10bis მუხლი ეხება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კავშირის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კავშირის ქვეყნების მოქალაქეები არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან ეფექტიანი დაცვით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ჩაითვლება კონკურენციის ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სამეწარმეო ან კომერციული საქმიანობის პატიოსან ჩვევებს. მუხლში განმარტებული არ არის, თუ რა იგულისხმება „სამეწარმეო ან კომერციულ პატიოსნებაში“, შესაბამისად, აღნიშნული ტერმინის განმარტება ეროვნული სასამართლოების და ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებაშია.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სააგენტო საქმის მოკვლევას იწყებს საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი კანონის სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული

ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მოკვლევის დასაწყებად მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა 11³ მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) შემადგენლობაში. აღნიშნული გონივრული ეჭვის არსებობისთვის კი უმნიშვნელოვანესია საჩივარი იყოს დასაბუთებული და წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდეს მასში მითითებულ გარემოებებს. საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ფარგლებში გონივრული ეჭვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, რომ სააგენტოს ხელთ ჰქონდეს შესაბამისი მტკიცებულება იმისა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ევროპული სასამართლო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც როდესაც საქმე ეხება კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის დადგენას კონკურენციის ორგანომ დარღვევა უნდა დაადგინოს ისეთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ დარღვევის არსებობის სამართლებრივი წინაპირობები დააკმაყოფილოს⁵. შესაბამისად, სააგენტო აღნიშნავს, ერთი მხრივ, აუცილებელია კონკურენციის კანონმდებლობის მიზნების დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, საქმეში არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების სრულყოფილად შესწავლა და მაღალი სტანდარტით შეფასება გონივრული ეჭვის დასადგენად.

ამდენად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა შეფასდეს საჩივარში დასმული საკითხის სამართლებრივი ხასიათი და მისი მიმართება კონკურენციის კანონმდებლობასთან. სააგენტო წარმოადგენს საქართველოში კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს. იგი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის ხელთ არსებული ინფორმაციის/მტკიცებულებების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

⁵ იხ. საქმე C-185/95 P, ECLI:EU:C:1998:608, პარ. 58; ასევე, C-49/92 P, ECLI:EU:C:1999:356, პარ. 86

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ“ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება. ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სააგენტო მატერიალური დასაშვებობის შესწავლის პროცესში შეზღუდულია კანონმდებლობით დადგენილი ვადებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოში წარმოდგენილი ნებისმიერი საჩივარი გადის შემოწმების (ფორმალური და მატერიალური დასაშვებობა) ეტაპს და სააგენტო, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ინფორმაციის/მტკიცებულებების შეფასებისა და საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლის შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების/არდაწყების შესახებ. საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე იკვეთებოდეს კანონმდებლობის დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობა. განსახილველ შემთხვევაში საჩივარში მოცემული გარემოებები გაანალიზებულია სწორედ გონივრული ეჭვის სტანდარტის არსებობის კრილში.

3.2. კანონის 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევა

სააგენტოში წარმოდგენილი საჩივარში მომჩივანი მიუთითებს, რომ მისი ინფრასტრუქტურის ხარჯზე კონკურენტმა განახორციელა საკუთარი სისტემის დამონტაჟება, დააზიანა მომჩივნის აპარატურა, რაც საბოლოოდ ხელს უშლის მომჩივანს კომერციული საქმიანობის განხორციელებაში და საფრთხეს უქმნის ჯანსაღ კონკურენციას. შპს „სითიქომის“ განცხადებით აღნიშნული ქმედება წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, რომელიც აკრძალულია კანონის 11³ მუხლით.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო ამოწმებს შესაძლოა თუ არა ადგილი ჰქონდეს აღნიშნული მუხლის შემადგენლობის არსებობის სავარაუდო ნიშნებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი (*actori incumbit probatio*). მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთებულობის ვალდებულება. აღნიშნული გულისხმობს, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, და ა.შ. იგი ატარებს, ასევე, დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.

კანონის 11³ მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი კი მოიცავს ზოგადად განმარტებას იმისას, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება ქმედება არაკეთილსინდისიერ კონკურენციად და ასევე, მიუთითებს იმ სამაგალითო ქმედებებზე, რომლებიც წარმოადგენენ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. გამომდინარე იქიდან, რომ ეს სია არის არაამომწურავი, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია შესაძლოა განხორციელდეს ისეთი ქმედების მეშვეობითაც, რომელიც არაა ჩამონათვალში მოცემული, თუმცა აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ზოგადი დეფინიციის კრიტერიუმებს.

კანონის 11³ მუხლის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისთვის ეკონომიკური აგენტის ქმედება:

ა) უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს - კანონი, ისევე, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები, რაც ცხადია გულისხმობს მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვას.

ბ) უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

გ) უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს - კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს.

ამასთან, ზემოთ მითითებული სამივე ელემენტი უნდა კმაყოფილდებოდეს კუმულატიურად.

როგორც აღინიშნა, კანონის 11³ მუხლი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგად განმარტებასთან ერთად, ასევე, მოიცავს სამაგალითო სიას ქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენს კონკურენციის კანონის დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი საუბრობს არა ამ სამაგალითო ჩამონათვალიდან რომელიმეზე, არამედ სხვა ქმედებაზე. ასეთ შემთხვევებში მტკიცების უფრო მაღალ სტანდარტს მოითხოვს იმის დადასტურება, რომ ქმედება აკმაყოფილებს ზოგადი ნორმატიული შინაარსის ელემენტებს და კუმულატიურად ადგილი აქვს ზემოთ მოყვანილ სამივე წინაპირობას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტომ საჩივარში მითითებული გარემოებები გაანალიზა ნორმის ზოგადი ნორმატიული შემადგენლობის ჭრილში და იმსჯელა, წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი იმის თაობაზე, რომ მოპასუხის ქმედება ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს როგორც კონკურენტის, ასევე, მომხმარებლის ინტერესებს.

საჩივრის ფარგლებში შესაფასებელ სადავო ქმედებას წარმოადგენს მოპასუხის მიერ კონკრეტულ მისამართზე მდებარე კორპუსებში არსებულ ლიფტის კაბინებში საკუთარი აპარატურის დამონტაჟება კორპუსის მაცხოვრებლებისთვის მომსახურების გაწევის მიზნით. მომჩივნის მითითებით, სწორედ აღნიშნული ქმედება განხორციელდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მომჩივნის ინფრასტრუქტურის დაზიანებით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანი საჩივარში ზოგადად საუბრობს მომხმარებელთა ინტერესების შელახვაზე, თუმცა არ მიუთითებს, კონკრეტულად რაში გამოიხატება იგი და არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები. მომხმარებლებს ამ შემთხვევაში წარმოადგენენ ვიქტორ კუპრადის N72 კორპუსის მაცხოვრებლები (რომლებიც სარგებლობენ შესაბამისი მომსახურებით) და მათი ინტერესის შელახვა შეიძლებოდა დადგენილიყო, საქმეში თუ იარსებებდა ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, მაგალითად, რომ რაიმე ფორმით შეეზღუდათ ლიფტით სარგებლობის უფლება, ან ვერ ახერხებდნენ თანხების ჩარიცხვას შესაბამის პროგრამაში და სხვა. მომჩივანს საჩივრის წარმოდგენასთან ერთად ეკისრება მის მიერ მითითებული გარემოებების მტკიცების ტვირთიც და მოცემულ შემთხვევაში ეს ტვირთი ვერ იქნა დაძლეული მის მიერ. უფრო მეტიც,

საქმეში არსებული მტკიცებულებებით არათუ არ დგინდება მომხმარებლების ინტერესის შელახვა, არამედ, აშკარაა, რომ მისი ნაწილი მაინც უკმაყოფილო იყო არსებული მომსახურებით და სურდა ამ მომსახურების დასრულება/შეცვლა/ჩანაცვლება⁶. კერძოდ, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე თავად მომჩივნის მიერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ მესაკუთრეების გარკვეულ ოდენობას სურდა მომჩივნისგან მომსახურების მიღების შეწყვეტა. კერძოდ, ბინათმესაკუთრეთა გარკვეული ნაწილი ხელს აწერს განცხადებებს, სადაც ჩანს, რომ მოსახლეობას პრეტენზიები ჰქონდა და აღარ სურდა მომჩივანთან ურთიერთობის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია უშუალოდ მოპასუხის ქმედებასთან ამ ფაქტის კავშირი - მაცხოვრებლებს (თუნდაც მხოლოდ ნაწილს) სურდა ალტერნატიული მომსახურების მიღება და მოპასუხე მოქმედებდა არა თვითნებურად, არამედ ბინათმესაკუთრეთა მიერ გამოხატული ნების საფუძველზე. საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რაც იმას დაადასტურებდა, რომ მომხმარებელთა ინტერესებს რაიმე სახის ზიანი მიაღდა.

როგორც აღინიშნა, ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად კვალიფიკაციისთვის, კანონის 11³ მუხლის ზოგადი შემადგენლობის მიხედვით შეფასებისას კუმულატიურად უნდა კმაყოფილდებოდეს ამავე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები (საქმიანი ეთიკის საწინააღმდეგო ხასიათი, კონკურენტებისა და მომხმარებლის ინტერესების შელახვა). საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე კი გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს, რომ ეს წინაპირობები კმაყოფილდება და შესაძლოა სახეზე იყოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა.

ვინაიდან სახეზე არაა მომხმარებლის ინტერესის შელახვის შესახებ გონივრული ეჭვი, სააგენტო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, იმსჯელოს დანარჩენ ორ კრიტერიუმზეც.

საჩივრის დასაშვებობის შესწავლის პროცესში ერთ-ერთი წინაპირობის არარსებობა გამორიცხავს გონივრულ ეჭვს, რომ მოპასუხის ქმედება შესაძლოა წარმოადგენდეს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას.

⁶ სააგენტოში შემოსული N01/6484 წერილი (20.07.2026)

დასკვნა

კონკურენციის სამართლის მიზანი ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობა და დაცვაა. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოთხოვილი/მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებებისა და მსჯელობის გათვალისწინებით, სააგენტო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება კანონის 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ გონივრული ეჭვის არსებობა. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეუწონლად მიიჩნევს კანონის 11³ მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე საქმის მოკვლევის დაწყებას.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დაუშვებლად იქნას ცნობილი შპს „სითიქომის“ (ს/ნ: 405197111) 2026 წლის 26 ივნისის N01/5849 საჩივარი;
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე;
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივანსა და მოპასუხეს;
4. რამდენადაც საჩივარი და მისი განხილვის ფარგლებში მოძიებული ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციას, სააგენტოს წინამდებარე გადაწყვეტილება საქმის მასალებთან ერთად (სრულად, კონფიდენციალობის დაცვით) ინფორმაციის სახით გადაეგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;
5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;
6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

